ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი #14

ქ. ცაგერი 31 ივლისი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:
რეზო ხეცურიანი
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ონისე ჩაკვეტაძე, მარიკა კოპალიანი;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი,
გიორგი გუგავა, ნოდარი საღინაძე, ელენე საღინაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები:
გივი გოგებაშვილი, ოთარი თვარაძე, მამუკა მამარდაშვილი,
მამუკა ჩიქოვანი, ვიქტორ ცხვედიანი, ბესიკი ჩანქსელიანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე: გოგიტა ახვლედიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი.
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, გორდა გვიშიანი, მარი ბურჯალიანი, ჯონი ხალიანი,
თინათინი ნემსწვერიძე, გიორგი გოლეთიანი, ბერდია კვირიკაშვილი;

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:
ქეთევან კოპალიანი
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი:
სოფიო გვიშიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

განკარგულება:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

სხდომის თავმჯდომარემ - რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

განკარგულება:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების ფორმირების და ხაზინის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო კოპალიანმა, 2026 წლის ბიუჯეტში მერვე ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს #2025 წლის 29 დეკემბრის 25 დადგენილებით და განისაზღვრა 17361,5 ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში მერვე ცვლილების შეტანა დაკავშირებულია რიგ ფაქტობრივ გარემოებებთან. მუნიციპალიტეტის მერიაში დაფიქსირებულია ა(ა)იპ „ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“-ის“ დირექტორის მოხსენებითი ბარათი - ფრენბურთის ვაჟთა გუნდის მიერ 2025-2026 წლის საქართველოს 34-ე ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ცაგერის მუნიციპალიტეტის ფრენბურთის გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი და მეოთხედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გამარჯვებული გუნდის წევრები დაჯილდოვდებიან 10000ლარი. შესაბამისად საჭიროა გაიზარდოს ა(ა)იპ-ის დაფინანსება 10000ლარით. მუნიციპალიტეტის მიერ წინა წლებში შესყიდულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მიმდინარე ეტაპზე ბაზრის კვლევების შესაბამისად ბაზარზე აღინიშნება ფასების ცვლილება(ზრდა), რის გამოც აღნიშნული პროგრამა ამ ეტაპზე საჭიროებს გაზრდას. ასევე საჭიროა დამატებითი თანხები გზების მოვლა-შენახვისათვის, კერძოდ, ქ.ცაგერში სხვადასხვა ქუჩებზე ასფალტო-მეტონის საფარიანი გზის ორმოული შეკეთების სამუშაოებისათვის. მერიამ მიმდინარე დონეზე შეისწავლა ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების კუთხით. დაკონკრეტდა დამატებით გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა და განისაზღვრა დამატებით საჭირო ფინანსური რესურსების საორიენტაციო რაოდენობა. ინფორმაციას წარმოგიდგენთ პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით:

05 00 - კულტურის, სპორტის და განათლების განვითარება:

05 01 სპორტული ღონისძიებები

- ა(ა)იპ „ფრენბურთის კლუბი „ცაგერის““-ის სუბსიდირება - 10 000ლარი.
  არსებული რესურსის გათვალისწინებით დამატებით საჭიროა - 10 000 ლარი.

02 00 - ინფრასტრუქტურის განვითარება:

02 06 პროექტირების და ტექ.ზედამხედველობის დაფინანსება.

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 13000ლარი,
- ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 107 000ლარი.

  არსებული რესურსის გათვალისწინებით დამატებით საჭიროა - 120 000 ლარი.

უნიციპალიტეტის მერიამ დამატებით ჩასატარებელი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით განიხილა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა შემოსულობების და გადასახდელების კუთხით. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შემოსავლების გაზრდა არარეალურია, ამასთან ერთად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არაა იმ მოცულობის, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი ღონისძიება განვახორციელოთ. მიმდინარე ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩია გაანალიზდეს ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილი პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით და შესაძლო ეკონომიები გადანაწილდეს ახალი საჭიროებებიდან გამომდინარე. კერძოდ,

შემცირდეს:

- მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება (ორგ.კოდი 01 01 02) – 63000 ლარით,

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (ფასადები და სკვერები) ორგ.კოდი(02 05 01) – 47000ლარით,

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა(ორგ.კოდი 02 07) - 10000ლარი,

- დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება(ორგ.კოდი 02 10) – 10000ლარით.

სულ 130000 ლარი.

გაიზარდოს:

- ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი“-ის სუბსიდირება(ორგ.კოდი05 01 03) – 10000 ლარით,
- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგ.კოდი 02 01 01) – 13000 ლარით,
- პროექტირების და ტექ.ზედამხედველობის დაფინანსება(ორგ.კოდი 02 06) - 107000 ლარით,

სულ 130000 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეადგენს 28188,1 ათ,ლარს.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

საკითხი 2

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოფიო გვიშიანმა, განმარტა, რომ აღნიშნული განკარულების პროექტის მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოზადდა შემდეგი საპროექტო წინადადებები, რომლის განხორციელება იგეგმება 2026 წლისთვის:

1. ქ. ცაგერში ,,მწვანე თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

აღნიშნული პროექტის განხორციელების თაობაზე მიღებული არ არის პროექტის მოწონების შესაბამისი განკარგულება.

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, განსახორციელებელ პროექტზე მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

განკარგულების პროექტის მიღების შედეგად ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ ამფითეატრში ჩატარდება აგურის კედლების დემონტაჟისა და დეკორატიული რკ/ბეტონის კედლების მოწყობის სამუშაოები, პარტერში გამოიცვლება დაზიანებული ბეტონის ფილები, დასაჯდომი სკამები, შეიღებება ლითონის კონსტრუქციები, მოეწყობა დეკორატიულ კედლებზე აგურის ფილები, კედლების თავზე გრანიტის ფილები, ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებით გაუმჯობესდება ობიექტის მდგომარეობა და კომფორტული გახდება დამსწრე საზოგადოებისათვის. სამუშაოების განხორციელება იგეგმება 2026 წლისთვის.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის დასრულების შემდეგ სიტყვა ითხოვა ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გოგიტა ახვლედიანმა და ისაუბრა ცაგერი - ჩხუტელის გზაზე დაზიანებული მონაკვეთის მოწესრიგებაზე, ღვირიშის ხიდისა და სოფელ ზედა სურმუშის გზის რეაბილიტაციაზე.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფრაქცია ,,ლეხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარეს გოგიტა ახვლედიანს უპასუხეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ რეზო ხეცურიანმა და ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ თამაზი ჭაბუკიანმა:

- ცაგერი - ჩხუტელის გზაზე დაზიანებული მონაკვეთი მოწესრიგება უახლოეს დღეებში არის დაგეგმილი.
- სოფელ ზედა სურმუშის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს ეტაპობრივად, მაგრამ ვინაიდან მეწყრუკლი ზონაა ხშირად ზიანდება. ახალც ხრეში მიტანილია და მალე მოხდება მისი გაშლა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: **რეზო ხეცურიანი**